საქართველოს განათლების, მეცნიერებისა
და ახალგაზრდობის სამინისტროს
ტერიტორიული ორგანო - თერჯოლის
საგანმანათლებლო რესურსცენტრი

Territorial Entity of the Ministry of
Education, Science and youth of
Georgia Educational Resource centre
of terjola

2400, საქართველო, ქ.თერჯოლა ა. ჭანტურიძის ქ. 7 , ტელ: 595 919-515
N7 a.tchanturidze st terjola 2400 tel: 599-09 12 11

10/12/2025

MES 5 25 0001769073

სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს თავმჯდომარეს
ქალბატონ ნათია ჩირიკაშვილს

თერჯოლის საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2025 წლის ანგარიში საქართველოს ზოგადი ა დმინისტრაციული კოდექსის "ინფორმაციის თავისუფლების" თავით გათვლისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ თერჯოლის საგანმანათლებლო რესურსცენტრის (შემდგომში „რესურსცენტრი") 2025 წლის ანგარიშს, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში მოცემული ,,ინფორმაციის თავისუფლების'' თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე:

ა) 2025 წლის საანგარიშო პერიოდში, რესურსცენტრში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის თაობაზე წარმოდგენილ იქნა 24 (ოცდაოთხი) განცხადება. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე რესურსცენტრში შემოვიდა 5 (ხუთი) მოთხოვნა;

ბ) დაკმაყოფილდა 24 (ოცდაოთხი) მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და არ ყოფილა მიღებული არცერთი გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

გ) საჯარო მონაცემთა ბაზების თაობაზე შემოვიდა 11 (თერთმეტი) მოთხოვნა. საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემის თაობაზე შემოვიდა 7 (შვიდი) მოთხოვნა;

დ) 2025 წლის საანგარიშო პერიოდში, რესურსცენტრში დასაქმებულთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა და პასუხისმგებელ პირებზე შესაბამისი დისციპლინური სახდელი არ დადებულა;

ე) რესურსცენტრს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არ უთქვამს, შესაბამისად არ გამოუყენებია მოქმედი საკანონმდებლო აქტები;

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, რესურსცენტრის წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოში არ ყოფილა შეტანილი და გამომდინარე აქედან, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები რესურსცენტრს არ ჰქონია;

თერჯოლის საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2025 წლის წლიურ ანგარიშს აგრეთვე წარმოგიდგენთ ცხრილის ფორმით:

ანგარიში	რაოდენობა
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე	24 (ოცდაოთხი)
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე	5 (ხუთი)
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე დაკმაყოფილებული	24 (ოცდაოთხი)
გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული	0 (ნული)
მოთხოვნა საჯარო მონაცემთა ბაზის თაობაზე	11 (თერთმეტი)
მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის თაობაზე	0 (ნული)
მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის სხვისთვის გადაცემის თაობაზე	7 (შვიდი)
ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ	0 (ნული)
ინფორმაცია დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ	0 (ნული)

პატივისცემით,

ქალაქ თერჯოლის საგანმანათლებლო
რესურსცენტრის უფროსი

ქეთევან შეყრილაძე